

# “რკინიგზის გაყიდვით უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს დაგპარბაზი”

ვინ ყიდულობს ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს?

გაზეთი “ყველა სიახლე” – 28 თებერვალი – მარტი 5, № 9, 2008

„საქართველოს რკინიგზა“ საქართველოს ეკონომიკის საჯილდაო ქვად იქცა. ის ჯერ ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა გიორგი არველაძემ გაასხვისა და 89 წლით გადააბარა კომპანია „ფარფილდ ინვესტმენტს“. მოგვიანებით კი, საქართველომ ისევ უკან დაიბრუნა ეს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ობიექტი. დღესდღეობით რკინიგზა კვლავინდებურად საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაშია. სხვათა შორის, მისი შესყიდვის შესახებ პრეტენზია აზერბაიჯანმაც გამოთქვა. მკითხველისთვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, რას ფიქრობს ამ საკითხზე საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით პრივატიზაციის პროცესს საქართველოში?

– ეკონომიკურ თეორიაში არ არსებობს ცნება „სტრატეგიული ობიექტი“, ასე რომ თითქმის ყველაფრის პრივატიზაცია შეიძლება: მდინარეების, ტექნიკის, რკინიგზის... თუმცა, როდესაც ლაპარაკია ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ასეთი მიდგომა დაუშვებელია. ავიდოთ თუნდაც წყალი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიოში წყალი უფრო და უფრო ძვირდება. ჩვენ არა გვაქვს ნავთობი და გაზი, მაგრამ რამდენი ქვეყანაა, რომელსაც წყალი არა აქვს? არავინ იცის სტრატეგიულად რომელი უფრო ძვირფასია. იმის დასტურად, თუ რამდენად მნიშვნელოვანი რესურსია წყალი საქართველოსთვის, თვით კათოლიკოს-პატრიარქმა მიმართა ხელისუფლებას და სთხოვა, ეს სიმდიდრე არ გაეყიდა.

ყველაზე სამწუხარო, იცით, რა არის? – ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს

ხშირად ისეთი კომპანიები იძენენ, რომლებსაც არავინ იცნობს, კაცმა არ იცის, საიდან მოვიდნენ და რა მიზნები ამოძრავებთ. ამ ეტაპზე, სჯობს, საერთოდ, შევიგავოთ თავი ქვეყნისათვის სასიცოცხლო რესურსების გასხვისებისგან.

— ამბობენ, რომ ჩვენი პიდრორესურსებით, ისევე, როგორც საქართველოს რკინიგზით, რუსეთის ბიზნესწრეები არიან დაინტერესებულნი.

— დღეს ყველაზე მეტად დაინტერესებული ჩვენი რესურსებით, რა თქმა უნდა, რუსეთია. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ საქართველოს მთავრობა უშვებს არა უბრალოდ შეცდომას, არამედ სჩადის დანაშაულს, როცა რკინიგზის პრივატიზაციას აპირებს. ამ დღეებში მასმედიაში დაიწერა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მკაცრად ასაიდუმლოებს ინფორმაციას ქართული რკინიგზის შესყიდვის მსურველი კომპანიების შესახებ. შეიძლება ვინმებ უჭვი გამოთქვას, ეს ხომ უცხოური კომპანიებიაო... ჯერ ერთი: უნდა ვიცოდეთ, რომ რუსები ხშირად ქმნიან შვილობილ კომპანიებს სხვა ქვეყნებში და ხშირად შვეიცარიული, დანიური, ბრიტანული ფირმების უკან რუსული კაპიტალი იმალება. მეორეც, ნუ დაგვავიწყდება ის, რაც თავის დროზე მოხდა „თელასთან“ დაკავშირებით: მისი მესაკუთრე გახდა ამერიკული კომპანია, რომელმაც შემდეგ თავისი პაკეტი რუსულ კომპანიას მიყიდა. დღესდღეობით, ისეთი სტრატეგიული ობიექტის ხელიდან გაშვება, როგორიც „საქართველოს რკინიგზაა“, უდიდესი შეცდომა იქნება.

— რატომ აკეთებს ამას ჩვენი მთავრობა?

— ვერ გეტყვით, არ ვიცი, თუმცა, ალბათ, უკეთესია, მკითხველმა დასკვნა თვითონ გამოიტანოს. რკინიგზის დაკარგვით ჩვენ დავკარგავთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს.

— რით არის მნიშვნელოვანი სარკინიგზო ქსელი საქართველოსთვის?

— გეტყვით ასეთ რამეს: ნებისმიერ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საერთაშორისო-ეკონომიკური ფუნქცია. თუ ქვეყანას არა აქვს ამგვარი ფუნქცია, მის დამკვიდრებას მსოფლიო ბაზარზე სერიოზული პრობლემები ექმნება. საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ მცირე ზომისაა, იმიტომ, რომ

თვითონ ქვეყანაა მცირე ზომის. თანაც, მას გამორჩეული ენერგეტიკული თუ სხვა სახის რესურსები არ აქვს. ამიტომ, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან დაიწყო საუბარი ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო ფუნქციაზე: საქართველო მდებარეობს იმ დერეფანში, რომელიც აკავშირებს ალმოსაგლეთსა და დასაგლეთს, ეგროპასა და აზიას. ეს იდეა წარმატებით იქნა ხორცმესხმული და დღეს, ამ სატრანსპორტო დერეფანზე აღარავინ კამათობს. ჯერჯერობით საქართველოში ჩქაროსნული ავტომაგისტრალი არ აშენებულა, მხოლოდ მისი ფრაგმენტი გვაქვს. მილსადენების გარდა საქართველოს რკინიგზა არის ყველაზე დიდი დატვირთვით მოქმედი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ამ დერეფანში ფუნქციონირებს, ეს არის ქვეყნის საერთაშორისო-ეკონომიკური ფუნქციის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენი.

ახლა შევხედოთ, რა მდგომარეობა გვაქვს რეგიონში: რამდენიმე პვირის წინ რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელობამ სომხეთის ტრანსპორტის სამინისტროსთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სომხეთის რკინიგზა რუსეთის ხელში 30 წლით გადადის. რუსებმა მას დაარქვეს „სამხრეთ კავკასიის რკინიგზა“: აქ უკვე გამოიკვეთა ჩვენი დიდი მეზობლის ამბიცია. ლოგიკურია, რომ შემდეგი ნაბიჯი ქართული რკინიგზის შესყიდვის მცდელობა იქნება.

– როგორც ვიცი, ამის გამო, საქართველოს პარლამენტში საკმაოდ მწვავე განცხადება გააკეთეთ...

– დახმარება ვთხოვე აშშ-ის ადმინისტრაციას, სახელმწიფო დეპარტამენტსა და ამერიკის საელჩოს საქართველოში. ჩემი აზრით, ქართული რკინიგზის გადარჩენა ამერიკის ინტერესებშიც შედის. რატომ? 1. აშშ დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციით; 2. თუ საქართველოს რკინიგზა გადავა რუსეთის ხელში და რეალურად შეიქმნება სამხრეთ კავკასიის რკინიგზა, იქმნება საშიშროება, რომ დამყარდება სარკინიგზო კავშირი რუსეთსა და ირანს შორის, საქართველოსა და სომხეთის გავლით. არა მგონია, ეს ამერიკის ინტერესში შედიოდეს...

მინდა, მკითხველს შევახსენო ერთი ფაქტიც: ორიოდე წლის წინ, ჩვენი მთავრობა აპირებდა მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვას „გაზპრომისთვის“.

მაშინ ასეთ მკრეხელურ განცხადებას აკეთებდნენ ზოგიერთები: რატომ არ უნდა გავყიდოთ, ეს ხომ უბრალო მილია, სვეტიცხოველი და ჯვარი ხომ არ არისო (?) გაზსადენი რომ არც სვეტიცხოველია და არც ჯვარი, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ის სტრატეგიული ობიექტია და მისი მიყიდვა „გაზპრომისთვის“ სერიოზული შეცდომა იქნებოდა. ეს გაზსადენი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას გადაკვეთს და გადის სომხეთში. საქართველო ამ ტრანზიტული ფუნქციის განხორციელების შედეგად გატარებული გაზის 10 პროცენტს იღებს. ე.ო. ქვეყანა, რომელსაც საკუთარი გაზი არა აქვს, ამ სატრანზიტო ფუნქციის წყალობით იღებს შემოსავალს. მაშინ ამერიკამ საქართველო გადაარჩინა საკუთარი მთავრობისაგან: 2006 წლის დასაწყისში 50 მილიონამდე აშშ დოლარი გამოუყვეს ჩვენს ქვეყანას ამ გაზსადენის სარეაბილიტაციოდ. სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკელმა კონგრესმენებმა კონდოლიზა რაისს საგანგებო წერილი მისწერეს, სადაც აფრთხილებენ, რომ საქართველოს რკინიგზა, შესაძლოა, რუსეთმა ხელში ჩაიგდოს... არა მაქვს ილუზია, რომ ეს ჩემს განცხადებას მოჰყვა, მაგრამ სამხრეთ კავკასიის რკინიგზის შექმნა რომ კარგს არც ჩვენ და არც ამერიკელებს მოუტანს, ეს კონგრესმენებისათვისაც ნათელია.

– თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ არ გკითხოთ: ვის საქმეს აკეთებს ჩვენი ხელისუფლება?

– მართლა მიჭირს ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება. სიტყვით აგინებენ და აფურთხებენ რუსეთს, საქმით კი... ალბათ, ეს ფურთხება და გინება ნიდაბია იმის დასაფარავად, რაც რეალურად ხდება ქვეყანაში...

– თუმცა ფაქტია, რომ მოსკოვს ჩვენი ცრემლების მართლა არ სჯერა და არც ფურთხების...

– ამიტომაც, ჩვენ არ უნდა ვიცრემლებოდეთ. უნდა გვქონდეს ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან, აღვადგინოთ მასთან ეკონომიკური კავშირები, მაგრამ ამასთანავე, არ შევაფურთხოთ, არ გავლანდოთ და გავაღიზიანოთ. თან ვლანდავთ, თან სტრატეგიულ ობიექტებს ვაბარებოთ. საინტერესოა, რა თამაშს ვთამაშობთ?!

– დაგუბრუნდეთ საქართველოს რეინიგზას. ალბათ, არც ერთი ობიექტის გასხვისებას არ მოჰყოლია იმდენი მითქმა-მოთქმა, რამდენიც რეინიგზისას...

– ნებისმიერ ვერსიას აქვს არსებობის უფლება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ პრიგატიზაციის პროცესი ჩვენში გამჭვირვალე არ არის. სწორედ ასეთ პროცესებს მოჰყვება მითქმა-მოთქმა და ჭორი, რომელიც ხშირად სინამდვილისგან შორს სულაც არ არის. სამწუხაროა ისიც, რომ საქართველოს რეინიგზის ბედი დღესაც გაურკვეველია.

**ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე**